საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ბრძანება N 56

17/03/2021

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კოორდინაციის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის №168 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდგომ - კანონი) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის და მის დაქვემდებარებაში მყოფი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კოორდინაციის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით:

ზურაბ ძნელაშვილი	საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;
გიორგი თინიკაშვილი	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს იურიუდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
თამარ ხოკერაშვილი	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე (ამჟამად ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი), სამუშაო ჯგუფის წევრი;
სოფია გამჯაშვილი	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს იურიუდიული დეპარტამენტის პარლამენტთან ურთიერთობის

	სამმართველოს ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
მიხეილ ახვლედიანი	სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
გივი მურვანიძე	სსიპ შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის უფროსის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ლილი წვერავა	სსიპ შემოსავლების სამსახურის საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის გადამხდელთა განათლების და მომსახურების მეთოდოლოგიის სამმართველოს უფროსი;
ლევან იაშვილი	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ადმინისტრაციული სამმართველოს ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
თეიმურაზ შალიკაშვილი	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ნათელა გლოველი	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის აპარატის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
გიორგი რაზმაძე	სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის დირექტორის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ალექსანდრე ხუსკივაძე	სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის კვლევისა და სისტემური ანალიზის დეპარტამენტის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი.

2. სამუშაო ჯგუფი იკრიბება საჭიროებისამებრ, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით. სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია შეიკრიბოს დისტანციურად, ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით.
3. სამუშაო ჯგუფი/სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში სამუშაო ჯგუფის სხდომაზე მოიწვიოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელი ან/და ექსპერტი/სპეციალისტი.

4. სამუშაო ჯგუფის მდივნის ფუნქცია დაეკისროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს იურიუდიული დეპარტამენტის პარლამენტთან ურთიერთობის სამმართველოს ხელმძღვანელს სოფია გამჯაშვილს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ივანე მაჭავარიანი

მინისტრი